

საპარტევლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ივნისი, საშაბათი, 1990 წ. №108 (10 277) ღამის 3 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში



„ა“ ჯგუფი: იტალია — ავსტრია 1:0 (0:0); აშშ — ჩხვრ 1:5 (0:2)  
„ბ“ ჯგუფი: არგენტინა — კამერუნი 0:1 (0:0); სსრ კავშირი — რუმინეთი 0:2 (0:1)  
„გ“ ჯგუფი: ბრაზილია — შვეიცია 2:1 (1:0)  
„დ“ ჯგუფი: გერ — იუგოსლავია 4:1 (2:0); პრ. ბ. ს. — კოლუმბია 0:2 (0:0)

### მატჩი № 1, სენსაცია № 1

1990 წლის უდიდესი საფეხბურთო დღესასწაული „კოპა მუნდიალი“ მილანში დაიწყო. „სან-სირის“ ცნობილი სტადიონზე თავი მოიყარეს ბილეთების მფლობელებმა. ბედნიერმა აღამიანებმა ახლარეკონსტრუირებულ სტადიონზე იხილეს ჩემპიონატის გახსნის ულამაზესი ცერემონიალი, იტალიის, სხვა ქვეყნების წარმომადგენლების, ფოლკლო-

რული ანსამბლების, ორკესტრების გამოსვლა. ყველაფერი ეს დიდად საინტერესო იყო, მაგრამ ცეკვა-თამაში, სიმღერა და ლამაზი ქალების ეგზოტიკური ჩაცმულობის დემონსტრაცია მაყურებელს მაინც მოწყონდა, ტრიბუნიდან გაისმა „ფეხბურთი“, „ფეხბურთი“ და ფეხბურთის პრეზიდენტმა ერთ აველანქმაც სააღმსახურებლო ცერემონიალი უშუალოდ ფეხბურთი ამჟამინა, ამიტომაც მწვანე მინდორი ორკესტრანტოგან მალე დაცალა და სარბიელი ფეხბურთელებს დაეთმო.

ჩემპიონატის გახსნის № 1 მატჩი და... № 1 სენსაცია. საერთოდ, 1974 წლიდან მოყოლებული ტრადიციად იქცა, რომ „კოპა მუნდიალი“ გახსნის პატივი მსოფლიო ჩემპიონთა წილზედართა, მაგრამ სწორედ 1974 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ჩემპიონებს ტრადიციულად არ წყალობს ბედი, ისინი ან ფრედ ამთავრებენ სასტარტო შეხვედრებს, ან, სულაც, დამარცხებულები ტოვებენ სარბიელს.

ასე მოხდა ამჯერადაც: მსოფლიო ჩემპიონებმა — არგენტინელებმა კამერუნის გუნდთან ითამაშეს და...

იხ. გვ. 33.

სურათზე: ზევით — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და აუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი, ბურთითაა ლითარ მათეუსი (საქინფორმის ტელეფონი). ქვევით — ბრაზილიისა და შვეიციის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. ა. კოტორაშვილის ფოტო. (ტელეგრაფიდან).

## დაპოლიტიზაციის გზით

ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გზაზე ბოლო ხანს ბევრი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა. ეს პროცესი გრძელდება. კარგა ხანია დაიხსნა საკითხი იმის შესახებაც, რომ საქართველოს სპორტული მოძრაობა საერთოდ განთავისუფლდეს პარტიული ზღმძვანელობისაგან, ამ სფეროში მოხდეს სრული დეპოლიტიზაცია. საუბარი ამ თემაზე გაიმართა როგორც რესპუბლიკის სპორტსახეობის, ისე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ზღმძვანელობისთან, ორივე ორგანიზაცია დაილოკის შემდეგ ერთობლივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხარდაჭერას იმსახურებს საქართველოს სპორტული ორგანიზაციების დეპოლიტიზაციის იდეა, რომელიც ჩვენი მოქალაქეებისაგან მომდინარეობს.

შეიძლება თუ არა რესპუბლიკური სპორტული მოძრაობა იქცეს, ასე ვთქვათ, „უპარტიო“ მოძრაობად? რა თქმა უნდა, შეიძლება. სპორტი საერთოდ უყოველგვარი პოლიტიკის გარეშე დგას, ხოლო დღეს მისი „პოლიტიკური ფუნქცია“ უმთავრესად იმდენად და იმ საზომით განისაზღვრება რამდენადაც და რა დონითაც იგი ეროვნულ საქმეს ემსახურება. ჯერ კიდევ 20-იანი წლების დამოუკიდებელ საქართველოში ჩვენი სპორტული მოძრაობა უპარტიო მოძრაობა იყო. იმ პერიოდში სპორტსაზოგადოება „შეკარდენია“ დიდ ეროვნულ საქმეს აქეთებდა, რაშიაც სრულიადაც არ შეუშლია ხელი იმ გარემოებას, რომ მის ორგანიზაციებში პარტიული უჭრედეები საერთოდ არ არსებობდა. სპორტული ორგანიზაციების დეპოლიტიზაცია და პაროვნება — გასულ კვირაში ეს საკითხი დადაწინააღმდეგებდა პაროვნების უფლებებს შეეხოს. თავად პაროვნებამ უნდა გადაწყვიტოს იქნება თუ არა იგი რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი. ამ უფლებას არავინ უზღუდავს არც სპორტის ფუნქციონერებს, არც მწვრთნელებს, არც სპორტსმენებს. ლაპარაკია იმაზე, რომ ასეთი ორგანიზაციები სპორტული მოძრაობის არც ერთ რგოლში არ უნდა იყოს, რათა აბსოლუტურად გამოირიცხოს საქმეზე უყოველგვარი პარტიული ზემოქმედება. ასეთია პოზიცია, რომელიც არა მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს, არამედ საზოგადოებრივ აზრს გამოხატავს.

## თბა ლანჩაბი — 7 - დან 6,5 ქულა

სინჯაბურში, როგორც ცნობილია, აქ მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში გოგონებსა და ქალებს შორის. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა. გოგონათა შორის წარბაზებით ასპარეზობს თბილისელი თბა ლანჩაბი, რომელმაც შეიძინა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით, დანარჩენები — მოიგო. 6,5 ქულით იგი ჩემპიონატის ერთპირადი უფლებილი იქნა.



იხ. გვ. 233.

## „ლელო“ შეკითხვები დასვა

### აკრიაგუზაკთა პროზისცია


გაზეთ „ლელო“ 3 ივნისის №103-ში დასმულ შეკითხვებზე გაცნობებით, რომ: 1. 1990 წლის 1 ივნისს გაიმართა ავიაგუზაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება დამოუკიდებელი სტატუსის პროფკავშირის შექმნის შესახებ, აგრეთვე განიხილა ახალი წესდებისა და პროგრამის პროექტები; მათში აღიარებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი მშრომელთა გაჯანსაღებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში. 2. კონფერენციაზე დადგინდა, რომ შრომითი კოლექტივების პროფკომიტეტს მიეცათ სრული დამოუკიდებლობა და თვითმმართველობის უფლება. აქედან გამომდინარე მიმანჩია, რომ ფიზიკულტურის კოლექტივებმა მომავალში თავად უნდა დაგეგმონ, რასაკვირველია სპეციალისტ-მეცნიერებთან ერთად, მშრომელთა გაჯანსაღების ახალი საშუალებანი, ფორმები და მეთოდები, ამ მიზნით ჩვენს რესპუბლიკურ კომიტეტთან შეიქმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შტატგარეშე განყოფილება, რომელსაც გამოვლილი სპეციალისტი ზღმძვანელობის, კოორდინირებისა და რეკომენდაციების მიცემის სტატუსით. 3. 1985 წელს ჩვენი დარგის 55 წარმომება-დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომლებიც დაქვემდებარებით შედიან ფიზიკულტურის 8 გაერთიანებულ კოლექტივში, ემსახურებოდა მხოლოდ ერთი (თბილისის

## „ლელოს“ უკანსხეგანი

### გიორგი ჩოგოვაკი კვლავ პირველია!

სათაო აერობორტი ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ამჟამად კი ექვსი ასეთი შტატის მუშაკი გვყავს, რომელთაგანაც 3 მეთოდისტი უკანსხელო ორი თვის განმავლობაში აიყვანეს შტატში. უშუალოდ ამ დარგის განყოფილების მიერ ამჟამად ხორციელდება ღონისძიებები, რათა უახლოეს ხანში ინსტრუქტორ-მეთოდისტები აიყვანონ შტატში (დარჩენილი ორი კოლექტივში). 4. ავიაგუზაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენციის მასალებში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ: — „რესპუბლიკური საბჭო მოვალეა დახმარება გაუწიოს პროფკავ-

იხ. გვ. 233.



ავშ და სსრკ) მატჩი, კეთილი ნების თამაშები და ევროპის თასის გათამაშება, წლევეანდელი წლის დასასრულსა და მომავალი წლის დასაწყისში ავსტრალიაში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი.

## ტარტუ იხვევს

გაუზინ საღამოს ტარტულან მოვიდა ცნობა, რომ აქაური უნივერსიტეტი დათანხმდა სპორტული მედიცინის ფაკულტეტზე საქართველოდან მიიღოს ორი წარმომადგენელი. სწავლა რუსულ-ესტონურ ენებზეა. დაწვრილებითი ცნობებისათვის დაერკეთ საქართველოს სპორტსახეობაში. 22-55-81, 23-02-03.

## გიორგი ჩოგოვაკი კვლავ პირველია!

ავშ და სსრკ) მატჩი, კეთილი ნების თამაშები და ევროპის თასის გათამაშება, წლევეანდელი წლის დასასრულსა და მომავალი წლის დასაწყისში ავსტრალიაში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი.

## სურათზე: გიორგი ჩოგოვაკი

ავშ და სსრკ) მატჩი, კეთილი ნების თამაშები და ევროპის თასის გათამაშება, წლევეანდელი წლის დასასრულსა და მომავალი წლის დასაწყისში ავსტრალიაში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი.

# სტუდენტური სპორტი — ქართული სპორტის დასაყრდენი!

ძარბაზის სპორტში მოდის ახალი შეცვლა. დღეს ჩვენს გაზეთში მათ ვხვდებით ვულკანით, როგორც ჩვენს ხვალისდელ იმედს და დასაყრდენს. ბევრი მათგანი, ვის გვარსაც დღეს შემოთავაზებულ სივრცეში ამოკითხავთ, მაშინ იწყებდა სპორტში მეთადინებას, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს გაზეთში პირველად დაიბეჭდა აბიტურიენტ სპორტსმენთა გვარები და პრესის მეშვეობით ხაზგარეშდა დასახლებული სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომ მათ უმაღლესი ხარისხის სპორტის სახე უპირადად ზედა, თანამედროვე შეცვალეს უფროსები. ცხადია, ისინი, ვისაც დღეს წარმოადგენთ, სიმბოლურ ეტაფეტას თავიანთი წინამორბედებისაგან მიიღებენ. ასეთია სპორტში თაობათა ცვლის კანონი. ზოგჯერ სპორტის ამა თუ იმ სახეობაშიც კი ახალბედა თანამედროვეობაში თუნდაც ერთი წლის „ამოვარდნით“ რეზერვის მომზადებაში წყდება რგოლი, რომლის შეცვლას შემდეგ წლები ჰირდება და უკან წევს საქმეს.

როგორც ადრე, წელსაც სიბიძე შედგა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმის მქონე დაცვით (კრიტერიუმით თავის დროზე „ლელოში“ გამოქვეყნდა). ჩვენი სპორტი და თათოვეული სპორტსმენი არახლოდ დარჩენილა საზოგადოების ზრუნვის გარეშე. რაღა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა

ლაპარაკია იმაზე, ვინც დაუღალავი გარჯის შედეგად იმსახურებს საერთო უზრუნველყოფას და თანადგომას.

შორს არ არის ის დრო, როცა საქართველო სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ, რათა კვლავაც შევძლოთ მსოფლიო სპორტულ ელიტაში ადგილის შენარჩუნება, ტრადიციების გალამაჯვა-განმტკიცება. წელს, როგორც არასდროს, ყველაზე მეტი ფუნდურული ხედვა აბიტურიენტთა სივრცეში და ეს გასაგებია. ადრე თუ მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონებს და პრიზიორებს, საერთაშორისო შეჯიბრებებში თავგამოჩენილ ფუნდურულებს ეთმობოდათ ადგილი და მათი რიცხვი გაცილებით მცირე იყო, ახლა, ბუნებრივია, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეები მოექცნენ უზრუნველ ცენტრში. ბედის ანაბარა მათი შიტოვება, დაგვითანხმებით, არ შეიძლება.

სტუდენტი ახალგაზრდობა ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ისინი ტონს იძლევიან ყველაფერს და ყველაფერში, სტუდენტურ სპორტშიც და საერთოდ ეროვნულ სპორტულ მოძრაობაშიც სწორედ მათ ენიჭებათ წამყვანი როლი.

გზა დავულოცოთ სპორტული რესპუბლიკის ახალ თაობას.

### ათლენტიზმი

მამუკა შენგელია, დავით მერაბიშვილი — ორივე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

### ატლანტიკური ნიჩბოსნობა

გია ჯამახაშვილი, გიორგი მდიანი, სტეფანე ბოკორიშვილი, ფრიდონ ბოკორიშვილი — ოთხივე საკავშირო ნაკრების წევრი.

### ბადმინტონი

თემურ ვარშანიძე, ელისო მარგველაშვილი — ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი.

### ბალახის კოპეი

სერგო ხვანიძე, გონა არველაძე, მამუკა ბუხაძე, ირაკლი ბაბუხაძე, ილია ჯავახიძე, ელგუჯა ეხუბუა, კონსტანტინე არჩაია, მკა დათიაშვილი, ირმა კისკიძე, ზათუნა შეღაძე, ეკა ხარაძე — ყველა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე.

### ველოტრეკი

ომარ ფხაკაძე — საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი.

### თავისუფალი ჰიდატა

დემეტრი აბრამიშვილი, გელა ფოჩხუა, ივანე ბერიაშვილი, ლევან კახანიძე, ზაზა ტყეშელაშვილი, ავთანდილ გოგოლაშვილი, ხვიჩა ხახაშვილი, ზაზა გოგუა, გიორგი ხინჩიკაშვილი, ზაზა ლოლაშვილი, ივანე ურუტაშვილი, დავით ჩერქეზიშვილი — ყველა საკავშირო ნაკრები გუნდების კანდიდატი (სხვადასხვა ასაკში).

### კალათბურთი

ლევან ბაქრაძე, რამაზ გოგობერიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, ზურაბ ჩუბინიძე, პავლე ტოგონიძე, მიხეილ ბერუაშვილი, რევაზ ჩხეიძე — ყველა საკავშირო უმაღლესი ლიგის გუნდის წევრი; სერგო ქორქია — სპორტსაქმის პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიანტი; ლიანა ჩუბინიძე, გულიკო გულიკაშვილი, ლელა დოლონაძე, ნატაშა ლოსკუტოვა, მია აბრამიშვილი, თამარ კანია, ნინო სირაძე — ყველა საკავშირო I ლიგის გუნდის წევრი; ვახო ოთიურაძე — საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

### კატბურთი

გიორგი შუბლაძე, ალექსანდრე შუბლაძე, ვლადიმერ ცეკვაძე, სიმონ

ჭაჭანიძე, დავით ბიჭაშვილი, დავით ჯიბუტი, ზაზა ენუქიძე, ზაზა ბაჩერაშვილი, ზვიად დათაშვილი, დავით წოწორია, კონსტანტინე სურგულაძე, გიორგი ნაცვალაშვილი, შოთა ხიდაშელი, ილია კახიშვილი, ირაკლი მეფარიშვილი — ყველა საკავშირო I ლიგის გუნდის წევრი.

### კლასიკური ჰიდატა

ზაზა ხილაგაძე, შალვა იშხანიშვილი, ბაკურ გოგობერიძე, დამირ კირცხალია, გიორგი ხალდაძე, დავით ხეცურიანი — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების კანდიდატი; რევაზ კალანდაძე — საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი. ნაბი დვალაძე, გელა პაპაშვილი — ორივე საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი.

### პრივი

ზურაბ ხარხანია, პაატა გვახალია, კობა ჯიბუაძე, რამაზ ფალიანი, სპარტაკ პირველაშვილი, კობა გოგოლაძე, მათე კოლაშვილი — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი.

### მძლეოსნობა

ამბროსი მატიაშვილი, კახა სუჯაშვილი, ლიანა ზუბაშვილი — სამივე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი.

### ნატურბანი

ბადრი ბერძენიშვილი — საბჭოთა კავშირის ბალხის ზამთრის სპარტაკიადის მონაწილე გუნდის წევრი.

### რბობი

გიორგი ჩუბინიძე, ხვიჩა ვეგელია, შოთა ბუჩაძე — სამივე ქუთაისის „აია“, ბადრი შევანიძე, პაატა ხვანიძე, გიორგი ცაგარეიშვილი — სამივე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი; კახა აღანი, ზურაბ ნოზაძე, ალექსანდრე კვარაცხელია, ირაკლი დვალი, ზურაბ წოწორია, ლაშა რევაზიშვილი, ვრიგოლ ლაბაძე, გიორგი ძიმისტრაშვილი, ალექსანდრე ბრავაძე, ლაშა კალანდაძე — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი; მიხეილ გოგობერი, ლევან მგალობლიშვილი, დავით მაქარაძე — სამივე თბილისის „ელმავალი“.

### სასტანდო სროლა

ზურაბ უდგენი, ნიკოლოზ გიორგაძე — ორივე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

### სამბო

ივანე გამხატავილი — მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუტა შორის.

### საზნაბეცილო ველოტრეკი

ია გავნიძე — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გოგონათა შორის.

### სინკრონული ცურვა

ეკატერინე ასათიანი — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი.

### ტრამპლინიდან ხტობა

იოსებ გავა — საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორი.

### ფეხბურთი

კახაბერ ცხადაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გონა ჯამარაული — სამივე თბილისის „იბერია“; გიორგი ნადირაძე, ბეგლარ შავგულიძე, გიორგი ხუბიაშვილი, კობა ხუბისკერაძე, მალხაზ თევდორაძე, დავით ჯანაშია — ყველა ქუთაისის „ქუთაისი“; თამაზ მებრევილი, ნიკოლოზ ტოგონიძე, ნუგზარ ლომუნიძე, გიორგი კილახონია, ბუხუტი სილაშონიძე, ალექსანდრე ქორიაშვილი — ყველა რუსთავის „გორდა“; დავით ბუჭუა, დავით ლორთქიფანიძე, ჯუმბერ ზავალია — სამივე სამტრედიის „ხანავარდ“; თენგიზ ტყეშელაძე, გიორგი დოლბაია, ირაკლი კალუა — სამივე ხობის „კოლხეთი“; გიორგი მჭედლიშვილი, ივანე მანარაძე, გელა შევილაძე, ასლან ხიბია, თემურაზ ტულუში — ყველა ბათუმის „ბათუმი“; დავით ოზოლაძე — თბილისის „შეჯარღნი“, 1986“; კახა კვინტაძე, თემურ ლორია, რომან ქურდიძე — სამივე ლანჩხუთის „გურია“; ჯონი კალანდაძე — ოსურგეთის „მერცხალი“; რომან მარლიშვილი, ალექსანდრე მინახაშვილი, დავით ვალიშვილი, კახა ბალაბანიძე — ყველა გორის „დილა“; უჩა მჭედლიძე — ხაშურის „ივერია“; გიორგი ხარაბაძე, ვალერი მუშუღიანი, რატო იობიძე — სამივე წყალტუბოს „სამგურალი“; დემურ კაკუბაძე, მურთაზ შელია, კახა შამუგია — სამივე ოჩამჩირის „ამირანი“; ვლადიმერ მინახალოვი — ცხინვალის „ლიახვი“.

### ფალაგატო

ნიკოლოზ გიორგაძე, გიორგი ბურდული, ზურაბ ალავეტი, დემეტრი აბდუშელაშვილი, გიორგი ფირანიშვილი, მერაბ ხინჩაძე — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი; ნოდარ ჩხარტიშვილი, გიორგი მამუჩაშვილი, რევაზ ჩომახიძე — სამივე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი; გიორგი გურიშვილი, გიორგი გოგუაძე, ლევან კერვალიშვილი, სერგო კირიაიძე, პაატა იონანიძე — ყველა სპორტსაქმის პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიანტი; გოგა ჩხაიძე, ლევან მურგანიძე, ზაზა უკლეძა, ლაშა ფარულაძე, ზურაბ დავუთიშვილი — ყველა უმაღლესი ლიგის გუნდის თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მიერ რეკომენდირებული; ნონა ეკოპაშვილი, ნონა გოგობერი, მარინა ბუნჩიკაშვილი, ია კორაშვილი — ყველა უმაღლესი ლიგის გუნდის წევრი.

### ფრანკურთი

ივოლდა ცინცაძე, ირინა არუთინოვა, ლამარა ურუშაძე — სამივე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის I ლიგის გუნდის წევრი.

### ფარიპაობა

ირაკლი ჩიტოშვილი, მამუკა ოქლაშვილი, ხათუნა ქუმბურაძე, პაატა დლოძიძე — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების კანდიდატი.

### ქალთა ძიულე

თამარ გორგოშელი, ნინო სუარი-

შვილი — ორივე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

### ძიულე

თამაზ ცოფურაშვილი, ზაზა გოლეტიანი, გონა ერისთავი, ანატოლი ავახნილი, კობა თადიაშვილი, ბესიკ ზაქტაშვილი, ვეფხია ლალიაშვილი, ჯაბო ქაშიაძე, მერაბ მჭავაძე, ირაკლი ჯალაბაძე, მამუკა ბექაური, გიორგი ოძელაშვილი, მამუკა კვლავაშვილი, ნიკოლოზ ქორიაშვილი, ბესარიონ ოდუშვილი, კახა ლუწარაული, დავით ჭელიძე, მამუკა გავუნაშვილი, გელა ბიბიძე, მამუკა ბოტკოველი, კობა გველეზიანი, რომან უძლავური, ზვიად კოვჭირიძე, სარდიონ იაშვილი, მიხეილ ალექსიძე, მერაბ როსტიაშვილი, გიორგი ტაბატაძე, თემურ ოქროსიშვილი — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი; ბესიკ ქოქოვი, ბაკურ თურქაძე, გელა ადიბეგვი, მორგენ ზაბუღიანი — ყველა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი; მეგლუდ ლომუნიძე — საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრი.

### წალაგატო

ნიკოლოზ გიორგაძე, გიორგი ბურდული, ზურაბ ალავეტი, დემეტრი აბდუშელაშვილი, გიორგი ფირანიშვილი, მერაბ ხინჩაძე — ყველა საბჭოთა კავშირის ჰაბუტა ნაკრების წევრი; ნოდარ ჩხარტიშვილი, გიორგი მამუჩაშვილი, რევაზ ჩომახიძე — სამივე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი; გიორგი გურიშვილი, გიორგი გოგუაძე, ლევან კერვალიშვილი, სერგო კირიაიძე, პაატა იონანიძე — ყველა სპორტსაქმის პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიანტი; გოგა ჩხაიძე, ლევან მურგანიძე, ზაზა უკლეძა, ლაშა ფარულაძე, ზურაბ დავუთიშვილი — ყველა უმაღლესი ლიგის გუნდის თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მიერ რეკომენდირებული; ნონა ეკოპაშვილი, ნონა გოგობერი, მარინა ბუნჩიკაშვილი, ია კორაშვილი — ყველა უმაღლესი ლიგის გუნდის წევრი.

### წალაში ხტობა

გონა გახარია — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი.

### ხელბურთი

მირანდა ბოკორიშვილი — საკავშირო I ლიგის გუნდის წევრი.

### პარაკატი

რომან ხიჭინავა — სპორტსაქმის პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიანტი.

რესპუბლიკის  
მოსახლარეაგენერაცია  
სპორტული ცენტრი  
ზადარაში

## ნახეპარზინალი

# M

## ლისკული

# პლოდკა

დასასრულს მიუახლოვდა მოქალაქე ვაჭარა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ ვინ მოიპოვებს საკავშირო პირველობის 57-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის ორ სახეურს.

XI ტურში ზაზა ზოფერიამ შვიდი ფიგურებით დაამარცხა რომან სიჭინავა. პარტია მეტად რთულ ბროლიში მიმდინარეობდა. თეორიულ დებუტში მცირე ინციტაციას ფლობენდენ, მაგრამ სოფერიამ შეძლო გაეაქტიურებინა თავის ფიგურები და ენდშილში დაეჯაშა მეტოქე. სხვა პარტიები ასე დამთავრდა: სუპატაშვილი — საბურჯანია 1:0, ბალათუროვი — კაკაბაძე 0:1, კეკელიძე — იაშვილი 1:0, პოპოვი — მინაგაძე 0:1, ქურდულია — ტაბატაძე 0:5:0:5, კუჭუხიძე — დგებუაძე 0:5:0:5. გადამწყვეტილი გოგინიაშვილი — შალამბერიძის შეხვედრა.

XII ტურში ზედინელ მეხუთე დამარცხება იქნა რომან სიჭინავამ. ახვრად იგი შეჯიბრების ლიდერმა ალექსანდრე დგებუაძემ თეთრი ფიგურებით დაამარცხა.

ამ ტურში საინტერესო იყო მინაგაძე — კუჭუხიძის შეხვედრა. მეტოქეებმა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი აქტიულობით ვარიანტი გაითამაშეს. მინაგაძე დიდხანს ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მიტოვდა შიშში არაუხსტად ითამაშა და კუჭუხიძემ ხარისხის ეფექტური შეწირვით გახსნა მოწინააღმდეგის მეფის „ბანაკი“, შეიჭრა შიშში ფიგურებით და გაიმარჯვა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: საბურჯანია — ხოფერია 1:0, შალამბერიძე — პოპოვი 0:1, კაკაბაძე — ქურდულია 1:0, სუპატაშვილი — ბალათუროვი 0:1, იაშვილი — გოგინიაშვილი 0:5:0:5, ტაბატაძე — კეკელიძე 0:5:0:5.

გამოტოვებულ პარტიებში შალამბერიძემ დაამარცხა ბალათუროვი (VIII ტური), სუპატაშვილი — ტაბატაძე დაზავდენ (IX ტური). ამრიგად, 12 ტურის შემდეგ 8,5 ქულით შეჯიბრებას კვლავ სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე დგებუაძე. მის ქულანახევრით ჩამორჩებიან ზაზა ზოფერია, იანის პოპოვი, გაა ბალათუროვი (ყველა — თბილისი), ნურკი მინაგაძე და შოთა კუჭუხიძე (ორივე — ქუთაისი).

## პასპაროპი

## სოლიდარობას

## შხხაღვას

## პარაკოპს

**გადრედი.** მსოფლიოს ჩემპიონი ქალბატონი ვარი კასპაროვი გადარდა დიდოსტატთა ასოციაციის პრეზიდენტის პოსტს. მიზეზი, ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, იმაში მდგომარეობს, რომ ესპანეთის ქალაქ მურციაში მიმდინარე ამ ორგანიზაციის ვენერაბლურ ანსამბლზე დირექტორთა საბჭოში არ იარჩიეს მსოფლიოს ექსტრემიონი ანატოლი კარპოვი. საბჭო ამჟამად ასე გამოიყურება: დირექტორ-პრეზიდენტი ვესელ კოკი (ბელგია), დიდოსტატებში — იან ტინანი (პოლანდია), ბენტ ლარსენი (დანია), ნაიჯელ შორტი (დიდი ბრიტანეთი), ლუიზომირ ლიუბოვიჩი (იუგოსლავია), ბახარ კუბალი (საფრანგეთი) და ალექსანდრე ბელაშვილი (სსრ კავშირი). შორტი და კუბალი საბჭოს შემადგენლობაში პირველად შეიყვანეს.

**როგორც** აცხადებენ, კასპაროვის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. იგი ამ საკითხს დაუბრუნდება კარგითონაშ მატრის ნიუ-იორკში მელიც ამ ზაფხულს შემოიროკსა და ლონონში მოეწყობა.

### „ლელო“ შეკითხვები დასვა

# ავიანაშუაქთა პოზიციის

შორს ორგანიზაციებს ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

— „პროფკავშირის მოღვაწეობის მატერიალურ საფუძველს შეადგენს აგრეთვე შემოსავლები სპორტდარწეხებულთათა ფასიანი ღონისძიებებიდან და მომსახურებისაგან“.

— „1990-1991 წლებში უნდა დაითავრდეს ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი სპორტული კომპლექსი (საეკონომიკური და სასუნთქი) თბილისის სათაო ავიანაშუაქთაში, აგრეთვე სოხუმის აეროპორტის სტადიონის რეკონსტრუქცია-მშენებლობა“.

იმასთან დაკავშირებით, რომ წლებულს დაგეგმილი გვაქვს მოვაწყუთო 10-მდე დარგობრივი რესპუბლიკური სპორტული ღონისძიება (ბაკურიანში უკვე ჩატარდა ზამთრის მშდ მრავალქიდი), 22-24 ივნისს თბილისში მოეწყობა შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალქიდიში, ხოლო 13-15 ივლისს ბათუმში ჩატარდება ჯანმრთელობის სპარტაკიადი. აუთვისებელი თანხები ჩვენ თითქმის არა გვრჩება, მაგრამ შეზღუდვა სპორ-

### „ლელო“ უკანუხეზან

ტული საქონლის შექმნაზე აფერხებს წარმოება-დაწესებულებათა აღმშენებლის მიერ გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს.

5. ჩვენი კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება „განსხვავდას მქონდა კონტაქტებსა და ურთიერთობას პარტიებთან და საზოგადოებებთან, მათ შორის ნებაყოფლობით საზოგადოებებთან“.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ჩვენ ასეთივე ურთიერთობა გვექნება სპორტსაზოგადოება „შეგარდნთან“ სახელმწიფოებში საფუძველზე სპორტულ „ავიანაშუაქთა“ მეშვეობით, რომელსაც,

ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ჩაუყრთ საფუძველს.

6. ავიანაშუაქთა გუნდი „მინიონ“ ეროვნულ და I ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში არც თუ ურიგოდ გამოდის. ფრენბურთულ გოგონათა გუნდი კი ავიანაშუაქთა წლებადელი ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ასე რომ, რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების გაგრძელებაში, ვფიქრობ, ყველა თავისუფალმა პროფკავშირმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი.

### ივანე ბურდული

ავიანაშუაქთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

რედაქცია პასუხს პროფკავშირების რესპუბლიკური სხვა კომიტეტების თავმჯდომარეებისგანაც ელოდება.



„შეპარდენი-1906“ (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირა) 3:1 (2:1)

თბილისი. „შეპარდენის“ სტადიონი. 10 ივნისი.

„შეპარდენი-1906“: დოლიძე, ელიაშვილი, სხვარაძე, კოპალეიშვილი, ძნელიძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, კაკიაშვილი (ყულიაშვილი), უჯანია, ყიფიანი (ჩოხაძე), მინაშვილი.

„ამირანი“: მიჭია, ა. ჩხვირკია, გოგობია, შელია, ახვლედიანი, აფინდოპული, შამათავა, ლურჯაია, ქობალა, კითანავა, გურჯია.

მხატვები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე (ორივე — ოზურგეთი).

მეტოქეები ამ შეხვედრამდე გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებოდნენ, ორივე გუნდი აუტსაიდერთა რიგებშია და ცდას არ აკლებს, თავი დააღწიოს სახიფათო ზონას. მატჩი თბილისში საინტერესოდ წარიმართა. პირველი ბურთი სტუმრებმა გაიტანეს (გურჯია), ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობას მასპინძლები დეიუფლენ და ტარტარაშვილმა და მინაშვილმა ორჯერ აიღეს მიჭიას კარი.

მეორე ტაიმი სტუმრებმა შეტევებით დაიწყეს და დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას. შემდგომ თამაში გათამაშდა და ორმხრივი შეტევებით წარიმართა, წერტილი ამ მატჩს მინაშვილმა დაუსვა, რომელიც 82-ე წუთზე მესამე ბურთი გაიტანა „ამირანის“ კარში. ამ გამარჯვებით თბილისელთა გუნდმა გათამაშების ცხრილში ორი საფეხურით მაღლა აიწია.

„ცხუში“ (სოხუში) — „დილა“ (გორი) 5:0 (2:0)

სოხუში. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ცხუში“: ყორელოანი, ჩხრადი, ფარულავა, სიჭინავა (გელენავა), მალანია, ინალიშვილი, ჯიშარიანი (კუჭავა); პაპავა, გოგობია, ვახუშტია (პაპასხვირი), კურგენიანი.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრაძე, ტაბატაძე (მარლიშვილი), ქობეხოვი (ვ. ხორგუაშვილი), წიკლაური (მარხაშვილი), ჩაღუნელი, მელიქაძე, გაჩაშვილი, კოჭაძე, ნეფარიძე, ზ. ხორგუაშვილი.

მხატვები: რ. ტალიაშვილი, გ. ხეჩუაშვილი, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი).

ბოლო სამ მატჩში სოხუმელებმა ქულათა მაქსიმუმი აიღეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. გორის „დილასთან“ შეხვედრაშიც „ცხუმის“ უპირატესობა აშკარა იყო. ანგარიში გახსნა ჯიშარიანმა, რომელმაც 22-ე წუთზე ლამაზი დარტყმით დაგვირგვინა მრავალსელიანი კომბინაცია. 31-ე წუთზე გოგობიანმა მეორედ აიღო სტუმართა კარი — 2:0. პირველ ნახევარში გორელებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ სიძვირდღო თამაშობდნენ „ცხუმის“ მცველები და მეკარე ყორელოანი. შესვენების შემდეგ სოხუმელებმა კიდევ სამჯერ აიღეს სტუმართა კარი. 49-ე წუთზე — ინალიშვილმა,

61-ე წუთზე — გოგობიანმა, 62-ე წუთზე — ვახუშტიანმა და ხუთამდე გაზარდეს ანგარიში.

თენგიზ პაპაძე. „ლელო“ კორ.

„ბათუში“ (ბათუში) — „იზირი“ (თბილისი) 2:0 (2:0)

ბათუში. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ბათუში“: მამინაშვილი, გოგობიძე, შვიდილიშვილი, ლურჯაძე, კიკიაშვილი, შანიძე, მახარაძე, შენუიძე, უჩაჭურაძე, ტულუში, მაისურაძე.

„იზირი“: ბააკვი, მაჭავარიანი, ცხაძე (ნემსაძე), კეღია, ჯამარული, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაკარავა, გურული (ჯიშარიანი), გოგიჩაიშვილი.

მხატვები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), გ. მიქაუტაძე (ქუთაისი), ა. უიეაშვილი (მცხეთა).

გაფრთხილებს მაშინაშვილი. ჯერ გააფრთხილებს, შემდეგ მოედინიდან გააძვეებს თ. ქეცბაია.

შეხვედრა თავიდანვე ნელ ტემპში დაიწყო, პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა მე-7 წუთზე შექმნეს. უჩაჭურაძემ ოსტატურად აუარა გვერდი მცველებს და მეკარესთან პირისპირ დარჩა. აქ მას უხეშად ეთამაშნენ და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტი უნაკლოდ შეასრულა ლურჯაძემ — 1:0.

25-ე წუთზე მაისურაძემ და ტულუშმა შესანიშნავად გაითამაშეს კომბინაცია და უკანასკნელმა ტექნიკური დარტყმით მეორედ აიღო თბილისელთა კარი. მეორე ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა ანგარიშის შეც

ვლა და საბოლოოდ გაიმარჯვება ბათუმელებს დარჩათ.

მურან კობლაძე. „ლელო“ სპ. კორ. ბათუმის სტადიონზე მომხდარ ინციდენტს „ლელო“ ცალკე დაუბარუნდება.

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „გორდა“ (რუსთავი) 3:0 (2:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, შენგელია, თორლაშვილი, ბოკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიქიძე, სუხიაშვილი (შავგულიძე), ჯანაშია, დარახელია (დვლიშვილი), ფაქიძე (შავდათუაშვილი).

„გორდა“: მეშვიცი, ფირცხალავა, დიმიტრიშვილი, კუდინოვი, ჯანაშვილი, კილახოხია, ტ. კაკანაძე, მეტრეველი (აფციაური), ა. კაკანაძე, ფანცულაია, მიქაშვიცი (წიკლაური).

მხატვები: გ. წერეთელი (რუსთავი), გ. მიქაუტაძე (ქუთაისი), ა. უიეაშვილი (მცხეთა).

გაფრთხილებს მაშინაშვილი. ჯერ გააფრთხილებს, შემდეგ მოედინიდან გააძვეებს თ. ქეცბაია.

შეხვედრა თავიდანვე ნელ ტემპში დაიწყო, პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა მე-7 წუთზე შექმნეს. უჩაჭურაძემ ოსტატურად აუარა გვერდი მცველებს და მეკარესთან პირისპირ დარჩა. აქ მას უხეშად ეთამაშნენ და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტი უნაკლოდ შეასრულა ლურჯაძემ — 1:0.

მხატვები: გ. ხეჩუაშვილი, ზ. დარჩია, ნ. კილაძე (სამივე — თბილისი).

გოლები: ფაქიძე, ნადირაძე, დვლიშვილი, ფანცულაია, უკო, ფანცულაია თერთმეტმეტრიანი.

გაფრთხილებს გ. ნადირაძე.

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:1

„სანავარდო“ (სამტრედია) — „ივერია“ (ხაშური) 2:0

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შოთური“ (გალი) 6:1

„კოლხეთი“ (ხობი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 4:0

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „კოლხეთი-1918“ (ფოთი) 2:0

გათამაშების სხრილი

Table with columns: მხატვები, ჩგუფი, მდგომარეობა, 12 ივნისისთვის, თ., მ., ფს, წ., ბ, ქ.



მსოფლიო XIV ჩემპიონატი ფეხბურთში (ბაზრძიმლებს)

თუმცა, მათ რიგებში გამოდიოდა ყველა გამოჩენილი ფეხბურთელი, მათ შორის თვით დიეგო მარადონა, ვერაფერი გააწყეს აქტიურად მებრძოლ მეტოქესთან და დამარცხდნენ.

თავიდანვე ნათელი შეიქნა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ამ დღეს... არ იყო მსოფლიო ჩემპიონი და არც მარადონა იყო მარადონა. ისიც უნდა ითქვას, რომ კამერუნელი ფეხბურთელები არა თუ ძალისმიერი, არამედ ელემენტარული უნებობით გამოირჩეოდნენ და რამდენადაც არ ეცადა გამოცდილი, ავტორიტეტული არბიტრი ფრანგი მიშელ ვოტრო, თავიდან ვერ აიცილა არა მარტო გაფრთხილებები, არამედ მინდვრიდან გაძევებებიც კი. სისტემატური უნებობისთვის მინდორი დაატოვებინეს კამერუნელთა მცველებს ე.კ. ბიიკს და მასინგს. გაძევებულნიც და მათი პარტნიორებიც აშკარად ნაღობდნენ არგენტინელ ფეხბურთელებზე, განსაკუთრებით მარადონაზე.

მატჩი თავიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა. არგენტინელები არ ჩქარობდნენ, ხელსაყრელი სიტუაციისთვის ამაღლებდნენ შეტევას. მაგრამ კამერუნელ მცველთა მარჯვენაში მოქცეულმა ფორვარდებმა ვერ ააწყეს თამაში, დაკარგეს ტემპი, ხელიდან გაუშვეს ტაქტიკური ინიციატივა და თამაშმა თანაბარი ხასიათი მიიღო. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სახიფათო ვითარება ორივე გუნდის კართან თანაბრად იქმნებოდა, კერძოდ, ერთ მომენტში არგენტინელმა მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

ერთი სიტყვით, კამერუნელებმა გაუძვირეს მსოფლიო ჩემპიონთა იერიშებს და მეორე ტაიმი თვითონვე გადავიდნენ შეტევაზე. ერთ-ერთი შეტევისას მათ მარცხენა ფლანგიდან მოაწოდეს საჯარო, არგენტინელთა მცველმა რიგაზად ვერ მოიგერია ბურთი და ფ.ო. ბიიკმა თავით გაიტანა გადაწყვეტი გოლი.



არგენტინა



სსრ კავშირი

ეს მარცხი აშკარად არგენტინელთა მეკარე ბუზინოს სინდისზეა. დარტყმა ძნელი არ იყო, მეკარე კი დაიხრა, დიკორა ითლი ბურთი, მეორე ხელიდან გაუშვა იგი უკვე კარის ხაზს იქით — 1:0.

ასე სენსაციურად, მსოფლიო ჩემპიონის დამარცხებით დაიწყო 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. „კობა მუნდილის“ სიუჟეტი პირველივე დღეს დაიბნა, არგენტინელები თავიდანვე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, მსოფლიო ჩემპიონთა ეს მარცხი მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონებმა — არგენტინელებმა სტარტზე აშკარად გავაჭვირდნენ თავიანთი მოუწონებლობით, უნიათო თამაშით, ფსიქოლოგიური სისუსტით. გავიდა ერთი დღე და ასევე უმწოდ, აშკარად დაბალ დონეზე ითამაშეს საბჭოთა ფეხბურთელებმა რუმინელთა წინააღმდეგ. მართალია, როცა შეფასებას ვაძლევთ არგენტინისა და კამერუნის წყვილს და პარალელს ვავლებთ სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებთან, ეს მთლად ზუსტი ანალოგია არ არის. არგენტინელებს ყოველნაირი პროგნოზის შესაბამისად აუცილებლად უნდა გაემარჯვებინათ აფრიკელ ფეხბურთელებთან შეხვედრაში, რუმინეთი — საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო ქვეყანაა, საერთაშორისო სარბიელზეც გარკვეული წარმატებები აქვს, მაგრამ ჰქვნი აზრით სსრ კავშირის ნაკრები, უბრალოდ, მოვალე იყო სასტარტო მატჩი მოეგო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეორე ტურში იგი არგენტინას ხვდება, საკმარისია აქაც წარუმატებლობა და მშვი-



კამერუნი



რუმინეთი

დობით, მსოფლიო ჩემპიონატო, მშვილობით, იტალიავ! მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ სსრ კავშირის მთავარი მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის ინტერვიუში ოპტიმისტური განწყობილება მაინცდამაინც არ შეგვიმჩნევია და თუ გუნდს გამოაქლდა წამყვანი ფეხბურთელები მისაღობინეკო და იარემჩუკი, არც რუმინელთა შემადგენლობაში იყვნენ ფეხბურთის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორც გეორგ ჰაჯი, როდონ კემეტარუ და სხვები, მაგრამ რუმინელებმა ისეთი მონღოებობა, მობილიზებით და თავგამოცდას ითამაშეს, რომ მათი გამარჯვება აბაჟის აუქვებდა, თვით საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობაც კი. მართალია, ლაპარაკია იმაზე, რომ საბჭოთა გუნდის კარში რუმინელებმა მეორე ბურთი 11-მეტრი-

